ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებო, რა წარმატებებით ეგებებით დიადი ოქტომბრის ზეიმს?

ნ. ს. ხრუშჩოვმა შრომითი წარმატება მიუძღვნა ი. ს. კაჩანოვს

სსრ კავშირისა და ამერიკის საზოგადო მოღვაწეთა მომავალი შეხვედრები

საქართველოს გლეხობა ხიბლავს სტუმრებს

სახელმოხვეჭილ ძველ რკინიგზელებს ამაგი დაუფასდათ

სურათზე: ბათუმი. ლენინის სახელობის ქუჩა.

ფოტო ი. დვალისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 245 (11856) | ხუთშაბათი, 20 ოქტომბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

მიიღე სამშობლოვ, საოქტომბრო საჩუქრები!

ვასტგე—ავტომშენებლები

ნდში ნახევარ მილიონამდე მანეთი შეიტანეს.

ავტომატების საამქროს მოწინავე მუშებმა ხრახნმჭრელმა ალ. კუპრაშვილმა, გამმართველმა ი. ფხაკაძემ და მეავტომატე გ. ბოჭორიშვილმა იკისრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავისთვის შეასრულონ შვიდწლედის მეორე წლის დავალება.

კუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალთანამიანი კოლექტივი წინასაოქტომბრო ვახაზზეა და ამ დღეებში განსაკუთრებული აღმავლობით შრომობს. ავტომობილმშენებლებმა გადამეტებით შეასრულეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის, აგრეთვე ავტომანქანების გამოშვებისა და კოოპერირებულ მიწოდებათა ცხრა თვის დავალება, გეგმის ზევით მისცეს სამშობლოს რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ ქარხანაში ბევრი ტექნიკური სიახლე დაინერგა. № 2 სამსხმელო საამქროში საექსკლოატაციოდ გადაეცა ცილინდრის ბლოკის კოპების დამამზადებელი ავტომატური ქვიშამბერი მანქანები, ძრავას საამქროში დაამონტაჟეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში დამზადებული უნივერსალური სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხი. ეს სათვალით მეთორმეტე დანდგარია, რაც საამქროში ამ უკანასკნელ სამ თვეში დაიდგა.

სამჭედლო საამქროში ამ დღეებში ექსპლოატაციოდ გადაეცა მომბრუნებელი მუშტას დამამზადებელი ხაზი. წინათ აღნიშნული ნაკეთები დეტალი აქ სხვა ქარხნებიდან შემოაქონდათ.

ზეგეგმითი ეკონომიისათვის ლაშქრობის ინიციატორები სულ უფრო ზრდიან თავიანთ წვლილს შვიდწლედის რესუბლიკურ ფონდში. ავტომატების, მთავარი კონვეიერისა და № 1 სამსხმელო საამქროთა კოლექტივებმა შვიდწლედის ფონდში ნახევარ მილიონამდე მანეთი შეიტანეს.

ᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲬᲒᲔᲒᲘ

ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის პროდუქციაზე, რომელიც რკინიგზის ელექტროფიკაციისათვის საჭირო მუყაოლობაა და დეტალებს ამზადებს.

ქარხნის კოლექტივი ჩაება საოქტომბრო შეჯიბრებაში და ახალ გამარჯვებებს აღწევს. სწარმომ სექტემბრის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 113 პროცენტით შეასრულა, ხოლო საერთო პროდუქციისა — 104,3 პროცენტით.

გეგმის შესრულებაში დაწინაურდნენ ამწყობი და ელექტროსამონტაჟო საამქროები, რომლებსაც ს. მუსერიძე და პ. მაჭარაშვილი ხელმძღვანელობენ. წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი ტექნიკურმა პროგრესმა. უკანასკნელ ხანებში ქარხანამ 6 ახალი დაზგა მიიღო და ათმუშავა, რამაც დაიჩქარა პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესა ხარისხი.

ი. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ.

ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲙᲘ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ საოჯახო-მოტივო დეპოს ლიანდაგებში დგას რამდენიმე ვაგონისაგან შემდგარი მატარებელი. ეს აღმდგენი მატარებელია, რომელიც რკინიგზელებს ეხმარება რაიმე შემთხვევის დროს ლიანდაგის გაწმენდაში. მატარებლის ერთ ოთხღერძიან ბაქანზე მოთავსებულია ტანკი, ჩვეულებრივი ტანკია, მაგრამ მას არა აქვს ზარბაზანი ან სხვა იარაღი, განიარაღებული ტანკი დიდ სამსახურს უწევს აღმდგენი მატარებლის კოლექტივს.

—სამი წელია აღმდგენ მატარებელზე ვმუშაობ, — თქვა ტანკის მძღოლმა ვახტანგ გერმანაშვილმა. — ადრე საბჭოთა არმიის რიგებში ვიყავი და ტანკისტის სპეციალობა იქ შევისწავლე. ორი თვეა, რაც აქ განიარაღებული ტანკი მიგიღეთ. ჯარში დაუფლებულ პროფესიასა და ამ საბრძოლო მანქანას ახლა მშვიდობიან მშენებლობაში ვიყენებთ.

ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ 10 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 19 ოქტომბერი. (საქდესი). ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივმა ახალ წარმატებას მიაღწია საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში — ვადაზე 2 კვირით ადრე გაანაღდა 10 თვის დავალება. საწარმოს კოლექტივმა უკვე დაფერმენტა ვალდებულებით ნაკისრი 700 ტონა თამბაქო. ეს ერთისამად აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

დიდი რაოდენობის დაფერმენტებული თამბაქო გაგზავნათ თბილისის, კურსკის, ყაზანის, ხარკოვის, კიევის და სხვა ფაბრიკებს.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა წელს დაფერმენტოს 2.200 ტონა თამბაქო — 600 ტონით მეტი ვიდრე გათვალისწინებულია წლიური გეგმით.

ᲣᲪᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 19 ოქტომბერი. (საქდესი). შავი ზღვის სამგზავრო ფლოტის ფლაგმანმა „ადმირალმა ნახიმოვმა“ ათასზე მეტი ტურისტი ჩამოიყვანა აჭარის დედაქალაქში მომძე უკრაინიდან. ისინი მოგზაურობენ მარშრუტით: ოდესა — იალტა — სოხუმი — ბათუმი — სოჭი — სევასტოპოლი — ოდესა. 14 დღეში, რა ვადითაც ნავარაუდევია ეს მოგზაურობა, ტურისტები გაეცნობიან შავი ზღვის სანაპიროს ისტორიულ ძეგლებსა და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ბათუმის საზღვაო ეოგზალში უკრაინელ მეგობართა შესახვედრად მივიდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ახალგაზრდობა, პიონერები და მოსწავლეები. გაიმართა მეგობრობის მიტინგი.

უკრაინის პროფკავშირთა რესპუბლიკური ტურისტულ-საექსკურსიო საგმმართველოს თავმჯდომარემ ა. რეზნიკოვამ, ლუგანსკის ორთქლმავალსაშენებელი ქარხნის მღარავმა გ. ზემლიანკოვმა, გორკის სახელობის კიევის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ტ. შკლუეხინმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს გულითადი შეხვედრისათვის, უკრაინელ მშრომელთა ძმური სალამი გადასცეს ბათუმელ მშრომელებს.

ტურისტები დაიყვნენ ჯგუფებად და გაეცნენ აჭარის ასსრ დედაქალაქი. ისინი იყვნენ ბოტანიკურ ბაღში, პარკებში. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკის საზაფხულო თეატრში სტუმრებისათვის გამართეს მხატვრული თვითმოქმედების დიდი კონცერტი.

ᲩᲔᲛᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔ

ფეიქართა წარმატება

ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივი შესანიშნავი მაჩვენებლებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავს.

წულუკიძელმა ფეიქრებმა 106,2 პროცენტით შეასრულეს ცხრა თვის დავალება და სამშობლოს 4 მილიონ 523 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს.

შეჯიბრებაში ყველას უსწრებს ძაფსაღები საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ლენინის ორდენოსანი რუსიკო სანოძე ხელმძღვანელობს.

ᲡᲐᲐᲛᲫᲠᲝ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ

ᲝᲜᲘ. („კომუნისტის“ კორ.). ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს ყველაზე მსხვილ ობიექტს სამოთ საამქრო წარმოადგენს. იგი წარმოების სული და გულია. სწორედ აქ წყდება ბარიტის მადნის მოპოვების ბედი.

სამოთ საამქროში დღედაღამ შეუნელებელი მუშაობაა გაჩაღებული. საბაჟრო-საბაგირო გზით ზამთარ-ზაფხულ განუწყვეტელ ნაკადად მოედინება ბარიტის მადანი. ამ საამქროს კოლექტივმა გასულ თვეში კარგ წარმატებებს მიაღწია, თვიური დავალება 103 პროცენტით გაანაღდა.

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲗᲐᲑᲘᲫᲔ — ᲞᲐᲕᲚᲔ ᲜᲝᲜᲨᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საელმავლო დეპოს კოლექტივმა გულთბილად გააცილა ძველ რკინიგზელები, სახელოვანი მემანქანეები აკაკი ტაბიძე და პავლე ნონაძე, რომლებიც 42 წლის უმწრეკლო შრომის შემდეგ პენსიაზე გადავიდნენ.

მათ გასაცილებლად შეიკრიბნენ ძველი და ახალგაზრდა რკინიგზელები, რომელთა შორის ბევრი იყო ა. ტაბიძისა და პ. ნონაძის მოწაფე, ლენინის რაიონის მშრომელები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, პიონერები.

მშობლიური გრძნობებით, სიტყვებით აღინიშნა ორი ულაბელო ლვაწლმოსილი განუყრელი მეგობრის დამსახურება, რომელთა ბიოგრაფიაც კი თითქმის ერთნაირია, მიღებული აქვთ უამბავი მადლობა, მკერდს უმშვენებენ მთავრობის ბევრი მაღალი ჯილდო.

იუბილარები სიტყვებს ვერ პოულობდნენ უდიდესი სიხარულის გამოსათქმელად. მათ დიდი მადლობა გადაუხადეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, კოლექტივს, რომლებმაც ასე დააფასეს მათი მუშაობა, და ახალგაზრდობას უსურვეს პატიოსანი, უმწრეკლო შრომა.

ა. ტაბიძემ და პ. ნონაძემ განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ სახლში უქმად ჯდომა და სურთ შტატგარეშე ინსტრუქტორებად იმუშაონ დეპოში, რათა თავიანთი მდიდარი გამოცდილება გადასცენ ახალგაზრდა რკინიგზელებს.

Მ. ᲒᲣᲒᲣᲜᲐᲫᲔ,
საელმავლო დეპოს მემანქანე.

ფოტო ავტორისა.

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲩᲥᲔᲤᲡ ᲖᲕᲠᲔᲑᲨᲘ

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). შემოქმედებითი შრომა ჩქეფს რაიონის ზვრებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში, ღვინის ქარხნებსა და მარნებში. მევენახეები თავდადებით იჩრქვიან იმისათვის, რომ ბარათლად გაანაღდონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები, დიდი ოქტომბრის დღესასწაულს მიუძღვნან ახალი შრომითი გამარჯვებები.

ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ ყურძნის მოსავლიანობის მხრივ რომელიმე ჩამორჩება სხვებს. მესამე აგროუბანში, რომელსაც ა. ჯამარაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ 95 ცენტნერ ყურძენს იღებენ, გეგმა კი 78 ცენტნერზე მეტს არ ითვალისწინებს. აქ უკვე მოკრეფილი და წარმოებას ჩაბარდა 2.500 ცენტნერი ყურძენი.

სოფელ ქისატაურის ღვინის ქარხანა ამჟამად მთელი დატვირთვით მუშაობს. გეგმით აქ 3.200 ტონა ყურძენი უნდა გადამუშაონ, მაგრამ ქარხნის კოლექტივი პირობას იძლევა, რომ 1.300 ტონით მეტ ყურძენს გადამუშავებენ და ამ წარმატებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან წლისთავს მიუძღვნიან.



სურათზე: ყურძნის მოწინავე მკრეფავი თამარ რაიბული, რომელიც ყოველდღიურად 500 კილოგრამ ყურძნის მოსავალს იღებს.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲖᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის საზოგადო მოღვაწეთა შეხვედრაში მონაწილეობისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი, აკადემიკოსი ა. ე. კორნეიჩუკი.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის საზოგადო მოღვაწეთა შეხვედრა გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში 29 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე. ეს შეხვედრა ხორციელდება ამერიკის გონივრული ატომური პოლიტიკისათვის კომიტეტის თავმჯდომარის, თვალსაჩინო პუბლიცისტის, ჟურნალ „სატერდეი რევიუს“ რედაქტორის ნორმან კაზინსის ინიციატივით. შეხვედრის მიზანია განხილულ იქნას მშვიდობიანი თანაარსებობის, განიარაღების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და სსრ კავშირისა და ამერიკას შეერთებული შტატების ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების პრობლემები.

ა. ე. კორნეიჩუკის გარდა საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. ვ. პუშკარიოვა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მწერალი ბ. ნ. პოლევოი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ბიოქიმიკოსი, აკადემიკოსი ნ. მ. სისაკიანი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. მ. ჩხიკვაძე, სსრ კავშირის კინომატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კინორეჟისორი ს. ი. იუტკევიჩი, რენტგენულ-რადიოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. გ. ლაგუნოვი, კომპოზიტორი, მოსკოვის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ი. მურადელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ი. რუბინშტეინი, სრულიად საკავშირო ევანგელისტ ქრისტიან-ბაპტისტთა საბჭოს გენერალური მდივანი ა. ვ. კარევი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამხმარე და აღმდგენი ადმინისტრაციის გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე, ეკონომისტი მ. ა. ბურინსკი.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში შეხვედრის საბჭოთა მონაწილეების დელეგაციის ხელმძღვანელმა ა. ე. კორნეიჩუკმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების წინ განაცხადა:

— ჩვენ დიდი სიხარულით მივიღეთ ბ-ნ კაზინსისა და მისი კოლეგების მიწვევა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შევხვდეთ ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ პირველ შეხვედრას, რომელიც, როგორც ვიმედოვნებთ, დადებითი წვლილი იქნება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი დიდი ქვეყნების ურთიერთგაგებაა და თანამშრომლობაზე ბევრად არის დამოკიდებული ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების ბედი. ახლანდელ გამწვავებულ ვითარებაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატების საზოგადოებრიობას შეუძლია განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებაში.

იმედი გვაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ისევე როგორც ჩვენ, ღრმად არიან დარწმუნებული, რომ სახელმწიფოთა შორის ყოველგვარი საფიქრო საკითხი შეიძლება გადაიჭრას ერთადერთი შესაძლებელი გონივრული გზით — მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანები სულ უფრო რწმუნდებიან ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მიერ წამოყენებული იმ დებულების დიდ სამართლეში, რომ ჩვენს დროში ომი ფატალური გარდუვალობა არაა, რომ თანამედროვე მსოფლიოში არის რეალური პირობები მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ოკეანის გაღმა გამგზავრების წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვედრის საბჭოთა მონაწილეების ჯგუფის დაკალებთა და პირადად ჩემი-საელითო მინდა გამოვხატო უაღრესად გულწრფელი კეთილი გრძნობები, რომლებითაც გამსჭვალულია მთელი ჩვენი ხალხი ამერიკელი ხალხის მიმართ, რომელთანაც მას სურს იცხოვროს მშვიდობითა და მეგობრობით.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ

ᲛᲔᲚᲐᲕᲘᲡ რაიონის სოფელ იყალთოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ყურძნის კარგ მოსავალს იღებენ. აქაური მევენახეები თვითეულ ჰექტარზე 85-100 ცენტნერ ყურძენს კრეფენ და ამით ხელს უწყობენ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის ვალდებულებათა შესრულებას.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი ატყობინებს სსრ კავშირის ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას, რომ 1961 წლის ლენინური პრემიების მოპოვებისათვის ნაშრომთა მიღება მთავრდება ამა წლის 15 ნოემბერს. ამ ვადის შემდეგ წარმოდგენილი ყველა ნაშრომი განიხილება იმ ნაშრომებთან ერთად, რომელთაც აქვთ 1962 წლის ლენინური პრემიების პრეტენზია.

ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

19 ოქტომბერს დამთავრდა სტომატოლოგთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის მესამე პლენუმი, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თვალსაჩინო ექიმმა სტომატოლოგებმა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მინსკიდან, ერევნიდან, თბილისიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან.

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲚᲝ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ Გ. ᲙᲠᲝᲚᲘ

მომდინარე წლის 18 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში გ. კროლი მისივე თხოვნით და ესაუბრა მას.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი მოადგილე ვ. ს. სემიონოვი.

ᲞᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

75 მილიონი ფუთი პური — 18 მილიონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, ჩაბარეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს კურგანის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. რესპუბლიკური, საბჭოთა მეურნეობისა და საკოლმეურნეობათაშორისო სადაზღვევო საფუძველი ფონდში მათ შეიტანეს აგრეთვე 1,9 მილიონი ფუთი მარცვალი. მეურნეობებმა სავსებით მოიმარაგეს კარგი ხარისხის თესლი, მარცვალი ხამმაო რაოდენობით გაიცემა კოლმეურნეთა შრომადღეებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავიანთ მისალმებაში კურგანის ოლქის მშრომელებისადმი უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ, რომ ოლქში მიმდინარე წელს მიღებულია კარგი მოსავალი და წარმატებით შესრულებულია სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის ვალდებულებანი. მისალმებაში გამოთქმულია რწმენა, რომ კურგანის ოლქის მშრომელები კვლავაც იმუშავებენ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის და შეიტანენ ღირსეულ წვლილს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. (საკდესი).

ᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ!

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 ოქტომბერი. (საკდესი). ლიპეცკის ოლქის საბჭოთა მეურნეობის „ტუბეტჩინსკის“ მეელორემ ი. ხ. კაჩანოვმა წერილი გაუგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს. წერილში გაუზიარა თავისი შრომითი წარმატება. 10 სექტემბერს ი. ხ. კაჩანოვმა შეასრულა ღორების გასუქების წლიური ვალდებულება.

17 ოქტომბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ი. ხ. კაჩანოვს გაუგზავნა საპასუხო წერილი: „თქვენ გაასუქეთ და სახელმწიფოს მიჰყიდეთ 1.345 ცენტნერი საერთო წონის 1.602 სული ღორი. ამასთან ცენტნერის თვითღირებულება 323 მანეთია, — ნათქვამია წერილში, — ხოლო სულ წლის განმავლობაში ვალდებულება იკისრეთ გაასუქოთ 2.000 სული და სახელმწიფოს მიჰყიდოთ 1.700 ცენტნერი ღორის ხორცი. ეს შესანიშნავია!“.

ნ. ხ. ხრუშჩოვი ივანე სიმონის-ძე კაჩანოვს უსურვებს ჯანმრთელობას, შემდგომ წარმატებას მუშაობაში და ბედნიერებას პირადულ ცხოვრებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითად სალამს უძღვნის საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშაკს.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲥᲝᲛᲘᲯᲕᲔᲯᲨᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი ატყობინებს სსრ კავშირის ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას, რომ 1961 წლის ლენინური პრემიების მოპოვებისათვის ნაშრომთა მიღება მთავრდება ამა წლის 15 ნოემბერს. ამ ვადის შემდეგ წარმოდგენილი ყველა ნაშრომი განიხილება იმ ნაშრომებთან ერთად, რომელთაც აქვთ 1962 წლის ლენინური პრემიების პრეტენზია.

ᲘᲒᲘ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 19 ოქტომბერი. (საკდესი). საქართველოს სსრ პავლოვიონის დამთავლიერებელთა ყურადღებას იპყრობს ახალი ექსპონატი — პაწაწა თვითმავალი სათიბელა „გსკ-1“, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთ-ერთმა საწარმომ დაამზადა. იგი გათვალისწინებულია ბალახის სათიბად მთებსა და სხვა ადგილებში, სადაც შეუძლებელია ტრაქტორების გამოყენება. სათიბელა დადგმულია მსუბუქ ორთვლიან ჩარჩოზე და მხოლოდ 33 კილოგრამს იწონის. „გსკ-1“ ფრონტალურად განლაგებული მჭრელი აპარატი მოქმედებაში მოდის 1 ცხენძალის სიმძლავრის ველოსიპედის ძრავით. მუშაობის დროს მთიბავი მას მართავს ორი სახელურის დახმარებით. მთის თვითმავალი სათიბელა მარტივი და მოხერხებულია ექსპლოატაციის დროს, საათში ხარჯავს მხოლოდ ერთ ჭიქა ბენზინს. ეს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე პატარა თვითმავალი სათიბელა, რომელიც ერთ გაკლაზე 48 სანტიმეტრს თიბავს, 8 საათის განმავლობაში ერთ ჰექტარ ბალახს თიბავს.

ტყის მცველი — ტყის მჭეარი?!

საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს გაგრის რაიონი და განსაკუთრებით რიწის ტბა და მისი მარადმწვანე მიდამოები წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ამ ულამაზეს კუთხეს, მის მშვენიერ ტყეს უმოწყალოდ ანადგურებენ სწორედ ის პირები, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ამ ტყეების მოვლა-პატრონობა. ესენი არიან საატყეო ინჟინრები, საატყეოს უფროსები, ტყის მცველები...

ერთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც შესწავლილ იქნა გაგრის რაიონის ტყეების ექსპლოატაციის მეთოდები და მისი გავლენა ნიადაგზე, მოზარდ აღმონაცენის მდგომარეობაზე.

შემოწმების შედეგად გამოვლინებულ იქნა ტყის ჭრის წესების უხეში დარღვევის ფაქტები. მაშინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველომ სპეციალური ბრძანებით ადგილზე მიავლინა კომისია, რომელმაც დასახა კონკრეტული ღონისძიებები მომავალში მსგავსი უხეში დარღვევების აღსაკვეთად და დამნაშავეთა დასასჯელად.

ამ ღონისძიებამაც უშედეგოდ ჩაიარა. რიწის სახელმწიფო ნაკრძალში (დირექტორი მ. აგირბოვი) არა თუ ებრძვიან ტყის გამჩანაგებლებს, არამედ თვითონ ტყის მცველები ყოველმხრივ ხელს უწყობენ ამ მშვენიერი ბუნებრივი სიმდიდრის განადგურებას.

როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ნაკრძალი ისეთ ტყის ნაშნავს, სადაც ხის მოჭრა აკრძალულია. ეს თითქოს არ იცის ზოგიერთმა მეტყევემ და. როგორც კი დროს იხელთებს, მოგების მიზნით აჭრიკვინებს ისეთ ხეებს, რომლებიც ბუნების ნამდვილი მშვენებაა, ასე მოიქცნენ, მაგალითად, აგირბოვი, კონჯარი, ჩუკბარი, ხაგუში, კუბალა, მენაღარაშვილი და სხვები. ამ ერთი წლის მანძილზე რიწის სახელმწიფო ნაკრძალში მათ მოახერხეს 2.500 კუბური მეტრი საქმიანი მერქნის მოჭრა და 300 ათასი ცალი ყავრის „დამზადება“. აქედან ნაწილი მალულად გაყიდეს. მტაცებლების მიერ მოჭრილი და გაზიდულია აგრეთვე ძვირფასი ჯიშის — ბზისა და უთხოვრის მერქნის საგრძნობი რაოდენობა. მთელი ზარალის ზუსტი დადგენა შეუძლებელი შეიქნა, რადგან მოჭრილი ხის ძირკვები, ბორტმოქმედების კვალის დასაფარავად, შეხამებული იყო ხავსითა და მკვდარი საფარით.

შეიძლებოდა თუ არა ამ ბოროტმოქმედების თავიდან აცდენა? რა თქმა უნდა შეიძლებოდა, რომ აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის უფროსს მ. აშუბას დროულად მიეღო ზომები გაგრის სატყეო მეურნეობის უფროსი მეტყევის ვ. როსინსკის სიგნალზე, რომელმაც წელს აპრილში ამხილა ზემოაღნიშნული აღმაშფოთებელი ფაქტი. სამწუხაროდ, მ. აშუბამ დაუჯერა ნაკრძალის დირექტორს და მამხილებელი სიგნალი არ შეამოწმა, სანამ საქმეში გაგრის რაიონის საგამომძიებლო ორგანოები არ ჩაერიენენ.

გაგრის სატყეო მეურნეობაში ტყის მასობრივ ექსპლოატაციას ეწევიან საქართველოს სახალხო მეურნეობის ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს გაგრის სატყეო სავრეწველო მეურნეობა და სხვა დამამზადებელი ორგანიზაციები. ამავე დროს დღემდე არ არის აღკვეთილი წვრილი დამამზადებლებისათვის ტყეკაფის გამოყოფა და ხეების კვლავ მოჭრა იმ კვარტალებში, სადაც გაგრის ტყემრეწვმეურნეობამ ახლო წარსულში ტყეს კანონიერი ექსპლოატაცია ეკუკეთა. ამის შედეგია, რომ მთა-გორიანი ტყეების სიხშირე დაყვანილია 0,2-0,3-მდე, ნაცვლად საყოველთაოდ მიღებული 0,5-სა. არაიშვიათად ვხვდებით ტყის დამზადების დროს ნარჩენების ჩახერგილობას და ნიადაგის დიდ დაღარულობას მერქნის ტრაქტორით თრევის გამო. ეს, რათქმა უნდა იწვევს ეროზიული პროცესების განვითარებას — ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩამორეცხვას, ხრამებისა და ხეევების გაჩენას.

გაგრის ტყემრეწვმეურნეობას მორები სამანქანო გზამდე ტრაქტორით გადმოაქვს. სანიმუშო ფართობებზე ჩატარებული დაკვირვებით დადგენილია, რომ ტრაქტორი მოზარდის 70-75 პროცენტს აზიანებს, დარჩენილ ხეებს ხახრის, ლეწვას, უზიანებს ქერქს.

ამ ორგანიზაციამ 1959 წელს მიიღო ორი კომპლექტი — სამი ტონა ტვირთამწეობის საბაგირო მექანიზმი **ვტუ-3,** მაგრამ. ვერ იყენებს, რადგან ერთი მათგანი, დამონტაჟებული ჩერქეზის ველობზე 42 კვარტალში, ამასწინათ მონტაჟის უხარისხობის გამო გაჩერდა, ხოლო მეორეს ჯალამბარი აქვს გატეხილი, რაც მხოლოდ ერთნახევარი წლის შემდეგ გახდა ცნობილი და ახლა მაიკოპში იგზავნება შესაცვლელად.

შარშან სატყეო და ქაღალდის მრეწველობის გაგრის ტყის სამშენებლო კანტორამ ტყემრეწვმეურნეობის ჩერქეზის ველობზე 6 კილომეტრი გზა გაიყვანა. წელს მას ორი კილომეტრი მოემატა. მაგრამ ამ გზას მთელ მანძილზე არა აქვს ასაქცევები, რის გამო ხე-ტყით დატვირთული მანქანები საათობით ელოდებიან ერთმანეთს. გზას მკვეთრ მოსახვევებში არა აქვს საყრდენი კედლები, ეს იწვევს დიდ საშიშროებას. არ არის აგრეთვე მარტივი სადრენაჟო სისტემა და სხვა, რის გამო თითქმის შეუძლებელი ხდება ამ გზის ექსპლოატაცია. მით უმეტეს წვიმიან ამინდში. საჭიროა ტყეში გზების მშენებლობის საკითხით დაინტერესდეს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო. მისი დარგობრივი სამმართველოს ხელმძღვანელობა.

უნდა აღინიშნოს, გაგრის სატყეო მეურნეობაში არსებული ყოველად გაუმართლებელი პრაქტიკა — კრძო მოსახლეობისა და კოლმეურნეობებისათვის წლიურად სამნახევარ ათასამდე კუბმეტრი მერქნის ტყეკაფის გამოყოფა, რაც იწვევს ხე-ტყის დამზადებაში ქაოსურ მდგომარეობას — ტყის დატაცებას, უნებართვო ჭრებს. ტყის დანაგვიანებას და სხვა უმსგავსობას. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობებისა და სხვა ინდივიდუალურ მშენებელთა ხე-ტყის მასალით მოსამარაგებლად გაგრის რაიონულ ცენტრში აბხაზკომკავშირის საწყობს საკმარ ხე-ტყის მასალა აქვს.

ასეთი ითქმის სატყეო მეურნეობაში ყავრის დამზადებაზე.

ტყის გამჩანაგებლები ბონიბის სიმდიდრის, სიცოცხლის მტრები არიან და. ბუნებრივია, დამნაშავეები ყოველთვის საკადრისად უნდა ისჯებოდნენ.

ა. ლალიძე.

ობოლისკი ასე არ აშენდება,

შარშან შესრულდა 300 წელი 1659 წლის კახეთის სახალხო აჯანყებიდან, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების საქმეში. ამ აჯანყებამ იხსნა აღმოსავლეთი საქართველო, კერძოდ კახეთი, ყიზილბაშურ სახანოდ გადაქცევისაგან, ქართველი ხალხი კი ეროვნული გადაგვარებისა და გადაშენებისაგან.

ამ ღირსშესანიშნაკი ისტორიული მოვლენის უკვდავსაყოფად გასული წლის ივლისში ბახტრიონის გორაზე, იმ ადგილას, სადაც მოხდა გადამწყვეტი შებრძოლება სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილებსა და ყიზილბაშ დამპყრობლებს შორის, დიდი სახალხო ზეიმით საფფძველი ჩაეყარა. ობელისკს. ახმეტის რაიონის მოსახლეობამ იკისრა ნაწილი ხარჯების გაღება და მოუთმენლად მოელიან ამ სამატიო ძეგლის დამთავრებას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ობელისკის გახსნა ნავარაუდევი იყო გასული წლის შემოგვიმოსთვის, მისი მშენებლობა დღემდე ჭიანურდება

ობელისკის მშენებლობის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვთ ახმეტის რაისაბჭოს აღმასკომის კულტგანყოფილების გამგეს ამხ. ვ. ჭუკაძეს და ინჟინერ ა. დურგლიშვილს, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს ამ საპატიო ვალდებულებას.

საჭიროა კულტურის სამინისტრომ და ახმეტის რაიონის ხელმძღვანელობამ სათანადო ყურადღება მიაქციონ ამ არც თუ ისე უმნიშვნელო ფაქტს და ეს საშვილიშვილო საქმე დროულად მიიყვანონ ბოლამდე.

პროფესორი
დ. გვრიტიშვილი,
პროფესორი შ. მესხია,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ასათიანი.

სირცხვილი იმ გუთნისდედას!..

ახლახან სოხუმის რაიონში დავათვალიერეთ უძველესი ხიდი მდინარე ბესლეთზე.

აღგაშფოთა ზოგიერთი უპასუხისმგებლო ადამიანის ბარბაროსულმა მოქმედებამ.

„ლეო ჩაგელიშვილს“, „გ. სოლოგიევს“, ვიღაც „გურამს“, „გელოს“, „ეროს“ არ დაუშურიათ შავი ლაქები იმასათვის, რომ ეგვარჯიშნათ ამ შესანიშნავი ძეგლის ქვებზე და დაემახინჯებინათ იგი.

სწორედ მათზეა ნათქვამი: სირცხვილი იმ გუთნისდედას თავის მამის საფლავს ხნავდესო...

გ. მილიუტინი.

გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (ცხინვალის რაიონი) პლანტაციების სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს შეხავსებულ კოზტებში ჩაის ნერგების გამოსაყვანად. წელს ამ წესით გამოყვანილ იქნა 516 ათასი ცალი ნერგი, რაც 16 ათასი ცალით აღემატება საგეგმო დავალებას. (ს. ჭუჭაია).

თბილისის მ. გორკის სახელობის კულტურის სახლში საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებამ გამართა ლექცია თემაზე: „ქართული მუსიკა 40 წლის მანძილზე“, რომელიც წაიკითხა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორმა პროფესორმა ი. ტუსკიამ. (მ. ტრაპაიძე).

ფოთის მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხიდის“ მებადურებმა 9 თვეში თევზჭერის დარგში ნაკისრი ვალდებულება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. პირველობას კვლავ ინარჩუნებს ის ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი მებადური ალექსანდრე მატკავა. (კ. კომპახიძე).

სამტრედიის რაიონში ზაზიკეცილთან მდინარე ცხენისწყლის პირას გაიხსნა კეთილმოწყობილი სასადილო. მას აქვს მოზრდილი ეზო, სადაც მგზავრებს შეუძლიათ დაისვენონ მანქანები. (რ. შამპთაპა).

ორჯონიკიძის რაიონში ზვარის მინერალური წყლების წარმოებამ 2.250 ათასი ლიტრი მინერალური წყალი ჩამოასხა და მომდინარე წლის გეგმა ოქტომბრის დასაწყისში გაანადღა.

მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს იმ ცვლებმა, რომლებსაც ა. ტალახაძე და ს. თოკანაშვილი ხელმძღვანელობენ. (შ. ტოროშელიძე).

შემოდგომა ქართლის გაღეგში

ბარაკინი შემოდგომაა ქართლის ბაღებსა და მინდვრებში. გზებზე განუწყვეტლივ დაჭრიან ჩონგურულად დატვირთული ავტომანქანები, საკოლმეურნეო მინდვრებიდან შვიდწლედის მეორე წლის მოსავალს ეზიდიან. ივრება სიმინდის ყანები, მოდიან ყურძნის, ვაშლის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის მოსავალი.

...სტრნელება ჩამდგარა ქვემო გომის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღებში, იკრიფება „ბანანი“, „ანტონოვკა“, „კეხეური“ და სხვა ჯიშები. ბაღებში ვაშლის კრეფა დასასრულს უახლოვდება. რამდენიმე ათეული ტონა ხილი უკვე მიჰყიდეს სახელმწიფოს. კოლმეურნეობაში ყველა ბრიგადას წარმატება აქვს, მაგრამ ვ. ბიძინაშვილისა და ვ. კაცაშვილის ბრიგადებს მაინც ვერავინ სჯობნის, მათ ძვირფასი საოჯახო საჩუქარი — ხილის უხვი მოსავალი უძღვნეს დიდა-სამშობლოს, სათუთად მოუარეს ვაშლის ბაღს და საშუალოდ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით 15 ცენტნერი ვაშლი მიიღეს.

ქვემოგომელებს ყურძნის მოსავლიანობა ამ ეიმეტრიან ქვეყნებს, არც აქვთ საამდურავი, ყურძნის შაქრიანობა 20 პროცენტზე მეტს აღწევს. ეზრნებესა და მარნებში ვეებერა ყასრები და ქვევრები

[illegible]

[illegible] ...ლომიაშვილი, ნ. თათბაშვილი, ე. ლომიაშვილი, ლ. კოჩეშვილი, ს. ნაბახტეანი ერთმანეთს ეჯიბრებიან. — ვინ მეტ ყურძენს მოკრეფს. კოლმეურნეებს ახლა დღედაღამე გასწორებული აქვთ. მანქანის მძღოლები შ. ხითარიძე, მ. მანჯგალაძე, ზ. მამულაშვილი ყურძნის გადაზიდვას ერთმანეთს ეცილებიან. ყველა ცდილობს ახალი წარმატებებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალიტური რევოლუციის ორმოცდამესამე წლისთავს.

— შარშან კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ე. ლაფერაშვილი, — მხოლოდ 40 ცენტნერი ყურძენი მიგიღეთ. წელს კი 70-75 ცენტნერს ვიღებთ; გადაწყვეტილი გვაქვს როგორც კოლმეურნეობის ვენახში, ისე კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე მოყვანილი ყურძნის მოსავალი მთლიანად მიეყიდოთ სახელმწიფოს.

კოლმეურნეობაში გარტო მოყვანილი მოსავლის დროულად დაბინავებით რადი არნან დაინტერესებულნი. მათ არ ავიწყდებათ ისიც, რომ შვიდწლედის მესამე წლის უხვ მოსავალს აქედანვე ეყრება საფუძველი. ამიტომ არის, რომ ტრაქტორისტი ვ. თაბუაშვილი, გათენებისას საკოლმეურნეო მინდორშია და ახლად შეძენილი „ტტ-54“ მარკის ტრაქტორით სამეზობლო ბორბალს თესავს დღეში 15-16 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. ტრაქტორისტის მარჯვენა ხელია ვ. მამულაშვილი. მას წესრიგში მოჰყავს სათესი მანქანა. მისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მიწაში ჩათესილი არც ერთი მარცვალი ხორბალი არ რჩება მიწის ზედაპირზე.

შ. ბოგუა.

კასპი.

მეცნიერება და ტექნიკა

სატელეფონო კავშირი... „სარკეებით“

ქალაქიდან ქალაქამდე, სოფლიდან სოფლამდე გამწკრივებული ბოძები, რომლებზეც გაჭიმულია სადენები — ასე გვაქვს წარმოდგენილი სატელეფონო კავშირი.

მაგრამ აი ამას წინათ ჩელიაბინსკში სამხრეთ ურალის რკინიგზის სამმართველოს შენობასთან აღიმართა ანძები, რომლებზეც დამაგრებულია დიდი გალუნული „სარკეები“. ეს არის ჩელიაბინსკსა და სვერდლოვსკს შუა აგებული რადიორელეს ხაზის ნაწილი. გიგაჰერცნული სიგნალი მიდის სარკიდან სარკემდე, ძლიერდება სპეციალური მოწყობილობით და იქცევა ბგერად. ახლა სადენებს კი აღარ მიაქვთ ადამიანის ხმა, არამედ ამ ჯადოსნურ ბადისებრ სარკეებს. სათანადო მოწყობილობა თუ გაუკეთდა, მათ შეუძლიათ გადასცენ სატელევიზიო სიგნალებიც.

რადიორელეს ხაზები მუშაობენ ულტრამოკლე ტალღების გამოყენების პრინციპზე. როგორც ცნობილია, ამ ტალღების მიღება შეიძლება მხოლოდ პირდაპირი ხილვადობის მანძილზე. სწორედ ამიტომ ყოველ 40 კილომეტრზე საჭიროა მიმღები და გადამცემი ანძების აგება.

რადიორელეს ხაზების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ბევრი არხი აქვთ. ამჟამად ჩვენი ქვეყნის ქარხნები უშვებენ ისეთ ხელსაწყოებს, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას ლპარაკი წარმოებდეს 6000 არხით.

ახალი პრეპარატი — მონომიცინი

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. (საკ.ფილი). **მონომიცინი** — ახალი ანტიბიოტიკი ფართოდ იქნება გამოყენებული სამკურნალო პრაქტიკაში. მონომიცინი შექმნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ახალი ანტიბიოტიკების საკვლევმა ინსტიტუტმა.

სპეციალისტთა აზრით, მონომიცინი გამოიყენება იმ ბაქტერიების წინააღმდეგ, რომლებზეც არ მოქმედებს ბევრი ანტიბიოტიკი და სინთეზური საშუალება.

მონომიცინის ხანგრძლივმა კლინიკურმა შემოწმებამ მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების სამედიცინო დაწესებულებებში, ცხადყო მისი ჩინებული მოქმედება მუცლის არის ჩირქოვან დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის დროს. დადებითად გამოუხმაურნენ მონომიცინს უროლოგები და პედიატრები. იგი ეფექტიანია, როცა ასმევენ ავადმყოფებს, რომლებსაც კოლიენტერიტი და დიზენტერია აქვთ. გულმკერდის ქირურგიაში იგი გამოიყენება ფილტვებისა და პლევრის ჩირქოვანი დაავადების დროს.

მკითხველის რეპლიკა

„პატარა“ პორექტურის დიდი უხერხულობანი

ამბავს წრნათ ქართველმა მკითხველმა მიიღო საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ექსპოზიციის „მეგზური“, რომელშიც გადმოცემულია მუზეუმის ისტორია, ფონდები და ექსპოზიცია. „მეგზური“ ს. ჭიკანაძეს შეუდგენია, ხოლო მისი რედაქტორია ვ. კაკაბაძე.

ერთ საღამოს „მეგზური“ ცნობისმოყვარეობისათვის გადავათვალიერე. ოთხმოცდამეცამეტე გვერდზე ზუსტად ანტონოვის დაბადების თარიღად მითითებულია 1828 წელი. სინამდვილეში. კი ცნობილია და ზ. ანტონოვის ყველა ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ იგი დაიბადა 1820 წელს.

ამავე გვერდზე ვკითხულობთ: „თვრამეტი წლის ზურაბმა, 1848 წელს, გორის სამაზრო სამმართველოში დაიწყო მუშაობა. 1841 წლამდე იგი მდივნის თანამდებობას ასრულებდა აქ“... უხეში კორექტურული შეცდომა უაზრობამდე მიდის. 1848 წლის მაგიერ უნდა იყოს 1838 წელი, და ყველაფერი ნათელი იქნება.

გადავფურცლეთ მეგზური. **ორასმეოთხმეტე** გვერდს თუ დავეჯერებთ, დავით კლდიაშვილი 1933 წელს გარდაცვლილა. მაგრამ „მეგზურის“ ორასმეცხრამეტე გვერდზე წიგნი ირწმუნება: „დ. კლდიაშვილი გარდაიცვალა 1930 წლის 24 აპრილს“. ესეც ხომ შორეული ამბავი არ არის, რომ გაჭირდეს თარიღის დადგენა?

ჩვენს თაობას კარგად ახსოვს დავით კლდიაშვილის გარდაცვალების თარიღი — 1931 წელი. მწერლის სახლ-მუზეუმში ამ ამბავლადაც არის ამოკვეთილი შემდეგი სიტყვები: „ოთახი და საწოლი, სადაც 1931 წლის 24 აპრილს, დღის 12 საათზე გარდაიცვალა სახალხო მწერალი დავით კლდიაშვილი“. მწერლის გარდაცვალების საათიც დაზუსტებულია, „მეგზურში“ კი წელი აღრეკილია.

ასეთმა „აღმოჩენებმა“ უფრო გაგვიტაცა და სხვა გვერდებიც გადავათვალიერეთ. **151-ე გვერდზე** ვკითხულობთ: „პეტრე უმიკაშვილი (1838-1904) დაიბადა თბილისში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1839 წლიდან, ქართული ენის მასწავლებლად მუშაობდა“. საოცარია! გამოდის, რომ ს. უმიკაშვილს ერთი წლისას დაუმთავრებია გიმნაზია და მასწავლებლობაც დაუწყია!

მიკვეთ ქვევით. ვაკაფეშაულას ძმა — ბაჩანა 1928 წელს გარდაიცვალაო, იუწყება „მეგზურის“ **178-ე გვერდზე.** მაგრამ იქვე **180-ე გვერდზე** ვკითხულობთ: „ბაჩანა“ გარდაიცვალა 1926 წელს“. რომელს დაუჯეროს მკითხველმა?

ასევეა ავქსენტი ცაგარლის მიმართ. **189-ე გვერდზე** აღნიშნულია, რომ აქსენტი ცაგარელი გარდაიცვალა 1904 წელს, მაგრამ მეორე გვერდზევე წერია, „1902 წლის 12 აგვისტოს ჯანგატეხილი მოულოდნელად გარდაიცვალაო“.

განვაგრძოთ, ეკატერინე გაბაშვილი 1851 წელს დაიბადაო — გვამცნობს **197-ე გვერდი.** მაგრამ მე-200 გვერდზე შავით თეთრზე დაბეჭდილია:

„ეკატერინაში ჩალაგებულია ეკატერინე გაბაშვილის თხზულებანი და ხელნაწერები. „რჩეული ნაწერების“ 1932 წლის გამოცემას ამშვენებს ავტოგრაფი: „... ჩემს ერთგულ და საყვარელ მეგობარს ნინო ტყეშელაშვილს. სახსოვრად ავტორისაგან. 1833 წელი. იანვრის 18“. „პატარა“ კორექტორა დიდ უხერხულობას ქმნის. გამოდის, რომ ავტორმა დაბადებამდე 18 წლით ადრე უსახსოვრა მეგობარს თხზულება!

ერთი შენიშვნაც. **188-ე გვერდზე** გაკვეთილი წერია: „1870 წელს აკაკიმ ალმოაჩინა ჭითურაში მარგანეცის მადანი“. ამ ერთ წინადადებაში ორი შეცდომაა. საბოლოოდ დადგენილია, რომ დიდმა მგოსანმა მარგანეცი, არამედ პირველმა დაიწყო მისი სამრეწველო ექსპლოატაცია. ეს მოხდა 1879 წელს, ხოლო 1870 წელს — ვერც ერთ წყაროში ვერ ნახავთ ჭითურის მარგანეცის გინდ აღმოჩენისა და გინდ დამუშავების დაწყების თარიღად.

ს. ჭიკანაძის წიგნი თავის დარგში უნიკალური ნაშრომია და მით უმეტეს აუცილებელი იყო სიზუსტის დაცვა, როდგან მკითხველი შეცდომაც გაუგებრობას იწვევს, ხოლო ავტორს უხერხულობას უქმნის.

პ. ჭიოკაძე

კარგია!

სტრიქონები მკითხველთა წერილებიდან

ბეგლარეთის ...ბოლოს ...ბოლოს ...ბოლოს

საერთაშორისო
ბანკიერი, ცნობები, მიმოხილვა
ცხოვრება

სტივენსონის გამოსვლა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). გამოვიდა რა წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ნიუ-იორკში, თვალსაჩინო ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ ელდაი სტივენსონმა ხაზგასმით აღნიშნა ამერიკელი ხალხის დიდი შეშფოთება ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი მთავრობის პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით.

ამერიკელი ხალხი, განაცხადა მან, „ყველგან განიცდის შეშფოთებასა და ურწმენობას და იძლევა სულ სხვადასხვა კითხვას. როგორია ნამდვილი მნიშვნელობა მტრული (ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ — რედ) გამოსვლებისა სამხრეთ ამერიკასა და ტოკიოში უმაღლეს დონეზე თაობირის ჩაშლისა, ჩვენი (ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატების. — რედ), თვითმფრინავის „უ-2“ ინციდენტის დროს ჩადენილი უხეში შეცდომისა? როგორია ამერიკის შეერთებული შტატებისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრების გულგრილობის მნიშვნელობა? რატომ დადგა უძრაობა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში? გვიახლოვდება თუ არა უკვე ახალი დაქვეითება? კარგავენ თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ მიმდევრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში? რა მოსდის ამერიკის ძალის პოზიციებს მთელ მსოფლიოში? — აი კითხვები, რომლებიც დაისახა სტივენსონმა.

„ადამიანები შეშფოთებული არიან, — განაცხადა სტივენსონმა, — მათ სურთ, ბოლოს, იცოდნენ სიმართლე ჩვენი მდგომარეობის შესახებ, ხოლო რაც მთავარია, მათ სურთ მშვიდობა დედამიწაზე.

ფერმერებს სურთ, რა თქმა უნდა, თავიანთი პროდუქციის უფრო მაღალი ფასები, მაგრამ მათ უფრო მეტად სურთ მშვიდობა. დიასახლისებს, რა თქმა უნდა, სურთ ფასების დაკლება, მაგრამ მშვიდობა მათ უფრო მეტად სურთ.

მუშას სურს ხელფასის გადიდება. ხოლო ბიზნესმენს მოგების გადიდება, მაგრამ მშვიდობა უფრო მეტად სურთ.

ყველაზე, რა თქმა უნდა, სურს გადასახადების შემცირება, მაგრამ ადამიანებს მშვიდობა უფრო მეტად სურთ.

ყველაზე მთავარი რამ, რაც საფუძვლად უდევს ამ არჩევნებს, ის არის, თუ რომელი კანდიდატი, რომელი პარტია, რომელი ხელმძღვანელობა გვიჩვენებს ყველაზე მშვიდობის საიმედო, ყველაზე სწორ გზას“.

სტივენსონმა მკვეთრად გააკრიტიკა რესპუბლიკური პარტიის მთავრობა, რომელიც ახლა საათვეში უდგას ხელისუფლებას და რომლის მოღვაწეობამ, სტივენსონის სიტყვით, გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟისა და ძალის დაცემა.

უკანასკნელ შვიდ წელიწადში, — თქვა მან, ჩვენი ძალა დასუსტდა ყოველი მხრივ. ჩვენ ჩამოვრჩით შეჯიბრებაში კოსმოსის დაპყრობისათვის, ჩვენ ჩამოვრჩით ტექნიკური განათლების მხრივ. ჩვენ ფეხდაფეხ ვერ მივყევით გრანდიოზულ რევოლუციას იარაღისა და ტექნიკის დარგში. ჩვენი პოზიციები შესუსტდა ფაქტიური მიდწევებისა დარგში და შესუსტდა ჩვენი გავლენა...

ჩვენი ეგრეთწოდებული ძალის პოზიციები აზიაში — სამხრეთ კორეაში, იაპონიაში, თურქეთში, ირანში, ლაოსში, ვიეტნამში — ძირგამოთხრილი აღმოჩნდა. რამდენადაც ჩვენ არა გვქონია ერთობლივი კონსტრუქციული პოლიტიკა აფრიკისათვის, იქ ამჟამად აქტიურად ვრცელდება კომუნისტური გავლენა. (სტივენსონი ასე უწოდებს ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას. — რედ). ლათინურ ამერიკაში ჩვენ ველოლიავებოდით დიქტატორებს, უგულებელყოფდით ხალხს და მხოლოდ ამ ზაფხულში — კასტროს შემდეგ გავიღვიძეთ.

მოუწოდა რა მხარი დაეჭირათ პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიის კანდიდატის კენედისათვის, სტივენსონი ამტკიცებდა, თითქოს დემოკრატიულ პარტიასა და მის კანდიდატს შეუძლიათ ყველაზე უკეთ „უჩვენონ მშვიდობის გზა“.

მაგრამ, სტივენსონის სიტყვით, მშვიდობის მიღწევის ერთადერთი საშუალებაა ყბადაღებული და დიდი ხნის წინათ გაკიცხული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის შემდგომი ინტენსიფიკაცია, რომელსაც, თითქოს, შეუძლია უზრუნველყოს შეერთებული შტატების „ერთვნული სიდიადე“. „მშვიდობისათვის, — აღნიშნავდა იგი თავის მსმენელებს, — საჭიროა ძალა“.

მდგომარეობა კონგოში

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, 18 ოქტომბერს ღამით მობუტუმ მიმართა „სასოწარკვეთილ ცდას“ განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა და ლეოპოლდვილში გაგზავნა მაშველი ჯარი.

ქალაქში გაჩხრიკეს და დაატყვევეს პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას მთელი რიგი თვალსაჩინო ძოძხრენი, რომლებიც გაგზავნეს არმიის ბანაკ ლეოპოლდში. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ინფორმაციისა და კულტურის მინისტრი კაშამურა და კატანგის საკითხთა სტატს-მდივანი სენდვე.

მაგრამ ორი საათის შემდეგ მობუტუ იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა ყველა დაპატიმრებული.

მობუტუს ამ „მკაფიო, მაგრამ უშედეგო სპექტაკლმა“, როგორც ამ პროვოკაციულ დაპატიმრებას უწოდა ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტმა, ერთხელ კიდევ ცხადყო კონგოში კოლონიზატორთა და დაქირავებულის მდგომარეობის მერყეობა.

ვიბრძოლოთ იმპერიალისტთა ხრიკების წინააღმდეგ

პანოი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). ლაოსის პატრიოტული პარტია ნეო ლაო ხაკ სატის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა განცხადება იმ მოლაპარაკების გამო, რომელიც ახლა ვიენტიანში წარმოებს ლაოსის მთავრობასა და პატეტ-ლაოს დელეგაციას შორის.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ახლანდელ ეტაპზე ლაოსის ხალხის მთავარი ამოცანაა ბრძოლა ამერიკის იმპერიალისტთა ჩარევისა და ფუმი ნოსავანის ამბოხებული ხროვის მოღალატური საქმიანობის წინააღმდეგ. ლაოსში მშვიდობის დამყარებისა და ლაოსელი ხალხის ნათელი მომავლისათვის, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, მოლაპარაკებაში მონაწილე ოროვე მხარემ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ლაოსის მთელი პატრიოტული და მშვიდობისმოყვარე ძალები გააერთიანონ მტკიცე კავშირად, რომელსაც შეუძლია ზეგაღლება მოახდინოს მთავრობაზე, აიძულოს იგი განაგრძელოს მშვიდობის, ნამდვილი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და გაგრძელდეს იბრძოლოს ამერიკელ იმპერიალისტთა ხრიკებისა და ფუმი ნოსავანის მოღალატური ხროვის საქმიანობის წინააღმდეგ.

განცხადებაში წამოყენებულია ექვსი პუნქტი, რომლებიც მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების აუცილებელი წინამოქმედებაა. პატრია ნეო ლაო ხაკ სატის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აყენებს, რომ გაერთიანდნენ ლაოსის მთელი პატრიოტული ძალები ამერიკელ იმპერიალისტთა და მათი ამბოხებული დამქაშების წინააღმდეგ საბრძოლველად და ერთად იშრომონ მთელი ქვეყნის გაერთიანებისა და მისი აყვავების საკეთილდღეოდ. იგი წინადადებას აყენებს, რომ შეიქმნას ერთიანობის მთავრობა ყველა პატრიოტული პარტიისა და დაჯგუფების მონაწილეობით, მათ შორის პატეტ-ლაოს წარმომადგენლების, სახელმწიფო გადატოლიანების კომიტეტისა და „მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კონსტიტუციის შესაბამისად ხალხისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას დემოკრატიული უფლებები და თავისუფლება, პატეტ-ლაოს პატრიოტები და მებრძოლები, რომლებიც საპყრობილეებში არიან, განთავისუფლებულ უნდა იქნან. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ გაერთიანდნენ მთელი შეიარაღებული ძალები, განმტკიცდეს ეროვნული არმია, რომელსაც შეეძლება დაიცვას თავისი ქვეყნის ნეიტრალიტეტი; განხორციელდეს საგარეო პოლიტიკა ფენეკის შეთანხმებების დებულებათა შესაბამისად ნამდვილი ნეიტრალიტეტის სულისკვეთებით, დამყარებულ იქნას მეგობრული ურთიერთობა ყველა მეზობელ ქვეყანასთან და მიღებულ იქნას ყველა იმ ქვეყნის დახმარება, რომლებიც არ განაპირობებენ ამ დახმარებას არავითარი ეკონომიური, პოლიტიკური ან სხვა პირობებით.

პარტია ნეო ლაო ხაკ სატის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს მოსახლეობის ყველა ფენას მოწოდებით, რომ ხელი შეეწყოს მოლაპარაკების წარმატებას და ამით საჭირო წელილი შეიტანონ ლაოსის მშვიდობისა და სიმშვიდის დამყარების საქმეში. ამავე დროს პარტიის ხელმძღვანელობა მოუწოდებს ხალხს ფხიზლად იყოს ამერიკელი იმპერიალისტებისა და ქვეყნის შიგნით მათი აგენტების ხრიკების მიმართ.

ამერიკის სამხედრო ბაზების სისტემის რეორგანიზაცია

ბონი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დპა-ს საგენტო იმოწმებს ბონის დიპლომატიური წრეებიდან მიღებულ ცნობებს და იუწყება, რომ ხდება აძერიკის სამხედრო ბაზების სისტემის რეორგანიზაცია. უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. ამ რეორგანიზაციას, საგენტოს სიტყვით, „პოლიტიკური მიზეზები“ აქვს. პროტესტების ზეგავლენით შეერთებული შტატები იძულებული არიან გაიქმნონ თავიანთი სამხედრო დასაყრდენი პუნქტები არაბთა ბეერ სახელმწიფოში. იქ განლაგებული საბჭედრო ქვეგანაყოფები სხვა ქვეყნებში გადაჰყავთ. როგორც ცნობიდან ჩანს, დასავლეთ გერმანიას კვლავ ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ამერიკის საზღვარგარეთის სამხედრო ბაზების სისტემაში. ამიტომ ამერიკის შეიარაღებულ ძალებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თავიანთ განკარგულებაში აქვთ ხუთი სამხედრო საჰაერო დასაყრდენი პუნქტი და სამხედროო ჯარების თორმეტი დასაყრდენი პუნქტი. ამერიკის საბჭედრო-საჰაერო ძალებს, რომლებიც განლაგებული არიან დასავლეთ გერმანიის ხუთ საავიაციო ბაზაზე, განკარგულებაში აქვთ საფრანგეთიდან გადაყვანილი ბომბდამშენი ავიაგამანადგურებლები და დამჭერი ავიაგამანადგურებლები. გარდა ამისა, დასავლეთ გერმანიაში განლაგებულია ამერიკის რამდენიმე ბატალიონი.

ბონში თანდათან ეხსნებათ მადა. ფრანგულ გაზეთ „ლუმანიტეში“ მოთავსებულ ნახატზე მხატვარ კამბს გამოუსახავს სურათი, რომელიც ახლო მომავალში მოელის საფრანგეთს... ბონელი მილიტარისტი ემზადება საფრანგეთის რუკის ფორმით გამოჭრილ ქვესადგამზე დადგას ატომური „ლუდით“ სავსე დიდი ჭიქა. „აი ჩინებული მოუნელებელი ლუდი!“— ამბობს იგი.

ბრძოლები ალჟირში

პარიზი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). პარიზის პრესა იუწყება, რომ ძლიერი ბრძოლებია საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმებს შორის. ყველაზე შეუპოვარი და სისხლისმღვრელი შეტაკებები გრძელდება უკვე რამდენიმე დღეა ორესის მთის მასივის რაიონში. ამ რაიონში, გაზეთების ცნობებით, ამას წინათ ყველაზე სასტიკი ბრძოლა მოხდა უკანასკნელი თვეების მანძილზე.

იუწყებიან აგრეთვე, რომ საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალმა ალჟირში სიკვდილი მიუსაჯა ალჟირელ პატრიოტს, რომელიც ტყვედ ჩაიგდეს მიმდინარე წლის ზაფხულში.

განკითხვის ჟამი

და**ბალ** შემოღობილს უკან ადამიანები სკამზე სხედან. ვინღა იცნობს ამ ადამიანებში თავდაჯერებულ და დარდიმანდ ადნან მენდერესს, თურქეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ან პრეზიდენტ ჯელალ ბაიარს, ან თურქეთის სხვა ყოფილსშემძლე მბრძანებლებს, რომლებიც ათი წლის მანძილზე ხელისუფლების სათავეში იდგნენ. ახლა ისინი საბრალდებულო სკამზე სხედან.

14 ოქტომბერს სტამბოლში დაიწყო პროცესი თურქეთის იმ რეჟიმის ხელმძღვანელებისა, რომელიც დამხობილ იქნა მიმდინარე წლის 27 მაისის სამხედრო გადატრიალების შედეგად.

ბრალდებულებს წაყენებული აქვთ ბრალდებათა გრძელი სია. ადნან მენდერესს საერთოდ მოელის სამი სიკვდილით დასჯა, 123 წლის პატიმრობა და 6 წლით გადასახლება. ბრალდებებს შორის არის კონსტიტუციის დარღვევა, მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, თურქეთში მიმდინარე წლის გაზაფხულზე სტუდენტთა დემონსტრაციების სასტიკად ჩახშობა და დახვრეტა. მაგრამ ყველაზე მთავარი ბრალდება, რომლის წაყენება სასამართლოში შეეძლო თურქ ხალხს იმათთვის, ვისზეც დამოკიდებულია თურქეთის საგარეო პოლიტიკა, — ეს არის ქვეყნის ეროვნული ინტერესების ღალატი, მუცლით ხოხვა ოკეანესგაღმელი მოკავშირეების წინაშე, რომლებმაც კატასტროფის პირამდე მიიყვანეს თურქეთი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი (საკდესი). გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა დღეს თავის ვიცე-თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენელი კარელ კურკი. კომიტეტის მომხსენებლად არჩეულ იქნა გვატემალის წარმომადგენელი ალბერტო ერატე. შემდეგ კომიტეტი შეუდგა თავის სხდომებზე დღის წესრიგის პუნქტების განხილვის რიგითობის დამტკიცებას.

ნიგერიისა და ტოგოს დელეგაციებმა შეიტანეს წინადადება, რომ კომიტეტის სხდომამ პირველი განიხილოს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამისა, რომელიც ეხება აფრიკის დამოუკიდებლობასა და განვითარებას. ეს საკითხი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ. ბულგარეთია, განის, ინდოეთის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ტუნისის, ისლანდიის, ჩეხოსლოვაკიის, პერუს, პაკისტანის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს განაარაღების პრობლემის გადაჭრას. მათ მოითხოვეს, რომ პირველ რიგში განიხილონ განიარაღების საკითხი. მეორედ გამოსულმა ნიგერიის წარმომადგენელმა თქვა, რომ ნიგერიას დელეგაცია არ არის იმის წინააღმდეგი, რომ კომიტეტმა პირველ რიგში განიხილოს განიარაღების საკითხი. ამით დამთავრდა პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომა.

პოლიტიკური კომიტეტის მუშაობის წესრიგის განხილვა გაგრძელდება დღის სხდომაზე.

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის დღ. სხდომამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დაიწყოს დისკუსია იმ საკითხების განხილვით, რომლებიც განიარაღებას უკავშირდება, შემდეგ განიხილოს აფრიკისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარების საკითხი, ხოლო ამის შემდეგ ალჟირის მდგომარეობის საკითხი.

პოლიტიკურ კომიტეტში

მიღწეულია შეთანხმება, რომ დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვის დროს გამოსულნებს შეუძლიათ შეეხონ საკითხებს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება გენერალური ასამბლეის 1959 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებანი განიარაღების შესახებ, განიარაღების კომიტეტის მოხსენებას, აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიც არის თერმოატომური გამოცდების შეწყვეტა და ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილება. მაგრამ, ყოველ დელეგაციას შეუძლია წამოაყენოს რეზოლუციები ყოველ ამ საკითხზე ცალცალკე.

შემდეგ კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დღის წესრიგის დანარჩენი პუნქტების შემადგენლობა თანა-მიმდევრობით ... [illegible] ... მა, კორეის საკითხი, კომიტეტის მოხსენება კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ, სსრ კავშირის საჩივარი საყოველთაო მშვიდობისადმი საფრთხის შესახებ, რასაც ქვნის შეერთებული შტატებისა აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამით დამთავრდა პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომა.

ჰამარშელდი თავს იმართლებს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საერთო-პოლიტიკურმა დისკუსიამ, რომელიც გენერალური ასამბლეის სესიაზე თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა, გამოააშკარავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის არც თუ ისე უმნიშვნელო საქმიანობა კონგოში. ცხარე კამათის ცეცხლებში მთელი მსოფლიოს წინაშე მხილებულ იქნა სამხახისი როლი გენერალური მდივნისა, რომელიც ემსახურება იმპერიალისტურ ძალებს, რომლებიც ცდილობენ კვლავ დაადონ კოლონიური ბორკილი უღელი კონგოელ ხალხს. და, მიუხედავად ამისა, ჰამარშელდი მაინც ცდილობს თავის გამართლებას.

საერთო დისკუსიის დასასრულს ჰამარშელდმა, როგორც თვითონ განაცხადა, „განმარტა“ პოლიტიკა, რომელსაც იგი კონგოში ახორციელებდა. ამ ფრიად ერცელი გამოსვლის არსი ის იყო, რომ დაეცვა უკანონობა, რასაც მისი ამარატი სჩადიოდა კონგოში და საეჭვო გაეხადა კრიტიკული შენიშვნები, რაც მისი მისამართით გამოთქვეს ევროპიელ, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მრავალი ქვეყნის დელეგაციებმა. მაგრამ ჰამარშელდმა ვერ შეძლო ჩამოერეცხა ბინძური ლაქები თავისი მუნდირიდან. მისმა სიტყვამ მხოლოდ დაადასტურა, რომ იგი კვლავინდებურად ჯიუტად განაგრძობს კოლონიზატორთა წაქეზების პოლიტიკას.

იმ დროს, როცა ჰამარშელდი მოუწოდებს ასამბლეას „ხელი შეუწყოს“ კონგოში მშვიდობისა და სამართლიანობის მიღწევას, იმპერიალისტური მარიონეტები ჩომბე და მობუტუ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით სარგებლობენ, თანხმდებიან, რომ განაგრძონ ერთობლივი მოქმედება ლუმუმბას ცენტრალური მთავრობისა და კონგოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პოლიტიკის წინააღმდეგ. არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ „კონგოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონფედერაციის“ შექმნის გეგმების მიღმა, რომელიც ჩომბემ და მობუტუმ გამოაცხადეს, დგანან ამერიკა და ბელგიის მონოპოლიები, რომლებიც ცდილობენ დაიუცმაცონ კონგო და ჩამოაშორონ მას უდიდესი პროვინცია კატანგა.

ჰამარშელდი იმოწმებს „დახლართული ბრძოლისა და კონფლიქტების“ ვითარებას კონგოში. მაგრამ ამას მხოლოდ ჰამარშელდმა შეუწყო ხელი. მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც შეიარაღებულ ძალები გამოიყენა არა კონგოს პარლამენტისა და მთავრობის მხარდასაჭერად, რომლებიც გამოდიან კანონიერად არჩეული ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა შექმნეს იმის პირობები, რომ კონგოელი ხალხისათვის საძულველ იმპერიალისტ აგენტებს ჩომბესა და მობუტუს განეხორციელებინთ მოღალატური მოქმედება, და ახლა, როცა ამ მოღალატეებს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ და კატანგაში ჩაღდება განმათავისუფლებელ მოძრაობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობა ჩომბესთან დებს „შეთანხმებას“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მიერ იმ რაიონების ოკუპაციაც შესახებ, სადაც მოსახლეობის მასობრივი გამოსვლებია ჩომბეს მარიონეტული რეჟიმის წინააღმდეგ. ამ შეთანხმებამ, სავსებით გასაგებია, გაიხარა კოლონიური წრეები, სადაც, როგორც უცხოეთის პრესა იუწყება, იგი შეაფასეს როგორც ჩომბეს „ბრწყინვალე გამარჯვება“. კოლონიზატორებს იმედი აქვთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ხიშტებით ჩაახშონ კონგოს ხალხის ბრძოლა საკუთარი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

გენერალურ ასამბლეაზე წარმოთქმულ სიტყვებში ჰამარშელდი ცდილობს მოაჯადოვოს მსმენელები „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ ლონისძიებებით, რომლებიც ხორციელდება კონგოს დამოუკიდებლობის, მთლიანობის, მშვიდობისა და პროგრესის შენარჩუნების მიზნით“. მაგრამ ცხოვრება იმას ადასტურებს, რომ გენერალური მდივნის პრაქტიკული საქმიანობა ისახავს აშკარად საწინააღმდეგო მიზნების მიღწევას.

პ. ეგოროვი.

ჟურნალისტთა მეორე მსოფლიო შეხვედრა

ვენა, 18 ოქტომბერი. (საკდესი). ჟურნალისტთა მეორე მსოფლიო შეხვედრის გუშინდელ სხდომაზე, რომელიც ბადენში მიმდინარეობს, დაიწყო საერთო დისკუსია დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე.

დისკუსიის დაწყების წინ რიო-დე-ჟანეიროს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდენტის ლ. გიმარაესის სახელით შესავალი სიტყვა წარმოთქვა კავშირის გენერალურმა მდივანმა ხ. ა. მესპლემ. საერთო დისკუსიაში გამოვიდნენ ცეილონის, იაპონიის დელეგატები, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარე ჟ. მ. ერმანი, პოლონელ ჟურნალისტთა გაერთიანების გენერალური მდივანი ტ. როეკი, კოსტა-რიკის, კვიპროსის, ტუნისის წარმომადგენლები.

თავიანთ გამოსვლებში მათ ხმამაღლა მოუწოდეს ჟურნალისტებს იბრძოლონ დეზინფორმაციისა და სიმართლის მიჩქმალვის წინააღმდეგ, რასაც სჩადიან იმპერიალისტური პრესის ორგანოები.

ყველა ჟურნალისტის მეგობრო თანამშრომლობის, ხაზგასმით აღნიშნა თავის შესავალ სიტყვაში ბრაზილიის დელეგატმა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ცეილონის ბურჟუაზიული პრესა, განაცხადა თავის გამოსვლაში ამ ქვეყნის დელეგატმა, ბოროტად იყენებს პრესის თავისუფლებას. პრესას იმპერიალისტები თავიანთი ანგარებითი ინტერესებისათვის იყენებენ, სწორედ ამიტომ პრესა კარგავს ხალხის ნდობას. ცეილონის დელეგატმა მოუწოდა შეხვედრის მონაწილეებს ყოველი ღონე იხმაროს, რათა ყოველი სტატია, ყოველი ცნობა ემსახურებოდეს კაცობრიობის მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და პროგრესის საქმეს.

იაპონიის დელეგატმა თავის მკაფიო, მძელვარე გამოსვლაში ილაპარაკა იაპონელ მშრომელთა გმირულ ბრძოლაზე ამერიკის ოკუპაციის წინააღმდეგ, იაპონია-ამერიკის „თავდაცვის“ ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა, განაცხადა მან დამსწრეთა ტაშის გრიალში, წარმატებით დაგვირგვინდა, და ამ ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეიტანეს იაპონის პროგრესულმა ჟურნალისტებმა, რომლებიც სასტიკი ცენზურისა და პოლიციური რეჟიმის პირობებში აწარმოებდნენ უთანასწორო ბრძოლას სამართლიანი მიზნებისათვის.

საინტერესო სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ბრიტანეთის გვიანის დელეგატმა.

ტუნისის დელეგატმა დაიცვა ალჟირელი ხალხის სამართლიანი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ფრანგ კოლონიზატორთა და მათ ხელშეწყობთა წინააღმდეგ.

კოსტა-რიკის დელეგატმა ფ. გამბოამ განაცხადა, რომ იგი გაამეჭვეს ჟურნალისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტიდან მხოლოდ იმისათვის, რომ იცავდა მძრომელთა ინტერესებს იმპერიალისტური მონოპოლიების წინააღმდეგ.

19 ოქტომბრს ჟურნალისტთა მსოფლიო შეხვედრაზე გაგრძელდება საერთო დისკუსია.

ვენა, 18 ოქტომბერი. (საკდესი). ჟურნალისტთა საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეების ლიმის სხდომის დასასრულს გამოირკვა, რომ შეხვედრაზე უკვე ჩამოსულია 250-მდე დელეგატი. ჩამოსული ჟურნალისტებები არიან 50 ქვეყნის წარმომადგენლები.

ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი დეპეშის წაკითხვის შემდეგ შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ქალაქ ბადენის ბურგომისტრი.

შემდეგ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ინდოეთის, ინდონეზიის, ჩილის, მალის, კუბის, ავსტრალიის, პერუს, არგენტინის წარმომადგენლები. ისინი მხურვალედ მიესალმნენ ჟურნალისტთა ფორუმს თავიანთი ქვეყნების ჟურნალისტთა სახელით.

ლათინური ამერიკის წარმომადგენელთა სიტყვებში გაისმოდა ზრუნვა ეროვნული პრესის განვითარებაზე ახალ თავისუფალ საფუძველზე, რაც უცხოა მეწარმეობის სულისკვეთებისათვის, ზრუნვა პრესაზე, რომელიც ემსახურება საზოგადოებას.

ობიექტური ინფორმაციისა და პრესისათვის ბრძოლა, განაცხადა პერუს წარმომადგენელმა, ლათინური ამერიკის ქვეყნებში უერთდება ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

პერუს, არგენტინისა და მექსიკის დელეგატებმა თავიანთი ქვეყნების ჟურნალისტთა სახელით სრული სოლიდარობა გამოუცხადეს გმირი რევოლუციური კუბის ჟურნალისტებს. მათ გამოსვლებს დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

XIV საჭადრაკო ოლიმპიადა

ლაიბციგი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით მე-14 საჭადრაკო ოლიმპიადაზე მოეწყო პირველი ტურის გადადებული პარტიების დამთავრება.

ჩეხოსლოვაკია-მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მატჩის გადადებულ პარტიაში მონღოლ სტუდენტს ჩალხასუენს ჰქონდა უპირატესობა ეტლების ენდშპილში საერთაშორისო ოსტატ ფიშერის წინააღმდეგ. მაგრამ რამდენიმე სიმის შეუპოვარმა ბრძოლამ მონღოლეთის გუნდს ვერ მოუტანა სასურველი შედეგი. ფიშტლი ენერგიულად იცავდა ... და პარტია ყაიმით დამთავრდა. ... ფიშერი 1,5:2,5 ევროპის ... ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის წინააღ... მოწმობს, რომ იზრდება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ოსტატობა.

ოსტატ გიცესკუს გუშინდელი მარცხის შემდეგ რადოვიჩ (რუმინეთი) — ბირნის (ამერიკის შეერთებული შტატები) გადადებულ პარტიაში რუმინელი მოჭადრაკეები დიდ იმედს ამყარებდნენ თავიანთ ... ოსტატზე. მაგრამ ბირნმა ... ბრძოლაში მიაღწია გამარჯვებას და ამერიკელებმა დაამთავრეს მატჩი ... 8:1.

ბირველი ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, არგენტინის, კუბის, ნორვეგიის, ტუნისისა და ... ეთიოპიის გუნდები. მათ აქვთ ოთხ-ოთხი ... ოთხი შესაძლებლობიდან.

ჟურნალისტს იპყრობს ტუნისის მოჭადრაკეთა დიდი წარმატება, რომლებმაც „ბრილიანტად“ მოუგეს გამოცდილ დანიელ ... ...

ჩვენი „გმირები“ — ჩვენ ჯუმბერ ლორგზე

ეს ნარკვევი ორი მოხაზრების გამო დაიწერა: პირველი იმიტომ, რომ ყველასათვის ნათელი ყოფილიყო, თუ რა ხაზზღარ ხორცმეტად, სარეველად ჩანან აქ გამოყვანილი „გმირები“ ჩვენს საამქროში, გულად, და შრომისმოყვარე ახალგაზრდებთან, რომლებიც სწავლახა, შრომახა თუ ბრძოლაში მუდამ სანიმუშონი, მამაცნი და შეუპოვარნი არიან; მეორე, იმიტომ, რომ ზოგჯერ მკვლელობისა თუ სხვა ბოროტმოქმედების კვალი დაუინტერესებლობისა და უყურადღებობის გამო იკარგება და დამნაშავე დაუსჯელად დასეირნობს ან მომალულია.

მაგალითად, შარშან აპრილში თბილისში სანაპიროს ქუჩაზე დღის სინათლეზე ავტომანქანამ ტროტუარზე მოკლა სტუდენტები ჩიკვაიძე და როსტომაშვილი. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, ბევრი დაიწერა ამ აღმაშფოთებელი შემთხვევისა და მისი გამოძიების ნაკლოვანებებზე, მაგრამ მკვლელი მანქანიანად უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

1958 წლის 8 ივლისს საღამოს 7 საათზე გორთან ახლოს ვიღაც ბოროტმოქმედმა მოკლა ახალგაზრდა ავტომძღოლი მირიან ბაქრაძე. საქმე აღიძრა... მოწმეები დაიკითხა, მაგრამ ვინ არის მკვლელი, დღესაც ბნელით არის მოცული.

მშრომელთა ასეთი სიგნალი რედაქციაში ერთი და ორი როდი შემოდის. ყველა საინტერესოა, ყველა განსაკუთრებული ყურადღების ღირსი.

ამიტომ ეს ნარკვევი იმათთვისაც საგულისხმოა, რომლებსაც მსგავსი აღმაშფოთებელი და ძნელად გასახსნელი საქმის გამოძიებაა აქვთ დავალებული. მაგრამ ნაკლებ პასუხისმგებლობასა და ინტერესს იჩენენ ომისათვის, რომ გამოძიების რთულ და ძნელ გზაზე ბურუსი გაფანტონ, სამსჯავროზე გამოიყვანონ ჩვენი საზოგადოების ერთიანი ხორცმეტები...

1.

ვაისის ნაშუადღევი იყო... მზე სურამის ქედისაკენ ეშვებოდა. ხეთა ვეება ჩრდილები წვებოდნენ დედაძიუაზე. თამაშით გატაცებული პატარა ქალები მოელოდნელად ერთ ადგილზე გაქვავდა. მინდვრის ბოლოს, საცალფეხო გზაზე, სადაც კონსტანტინე ნაგორნის ერთსართულიანი სახლის მესერშემორტყმული ეზო იწყებოდა, ადამიანის უცნაური ხმა გასმა. იგი არც დაძახილი იყო, არც მოთქმა, უფრო ყელგამოჭრილი პირუტყვის ზუთლსა თუ ბოლოტნის წაბაგვდა.

— ჯუმბერი მოკლეს!.. — ერთი მწარედ დაიკვლა გოგონამ და შეშინებულმა შინისაკენ მოკურცხლა. მას ფეხდაფეხ გაჰყვა პატარა ბარბარინეკ. ისიც ქეთინოს მიბაძვით გამწარებული გაჰკიოდა — ჯუმბერი მოკლეს, ჯუმბერი მოკლეს!

მთელი ახლო-მაჯლო მოსახლეობა ფეხზე დადგა. შემთხვევის ადგილზე თავი მოიყარა დიდმა და პატარამ, სურათი მეტად შემაძრწუნებელი დაუხვდათ. მიწაზე ეგდო ჯუმბერ დავითის-ძე ლონიკაშვილი. მას დანით სამი ძმიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული — ყელში, ლოყაზე და მარჯვენა ბარძაყზე.

მოკლულის გვეიდით, ოთხიოდე ნაბიჯზე უგრძნობლად იწვა ცხრამეტი წლის გვიდონ ლონიკაშვილი — მოკლულის ბიძაშვილი. მეზობლებმა მას ხელი დასტაცეს და წამოაყენეს. გვიდონი ფეხზე ძლივს დგებოდა... ეტყობოდა, ნასვამიც იყო და ნაცემიც.

ძალე მილიციის წარმომადგენელი მოვიდა, მოკლული საავადმყოფოში გადაიყვანეს, გვიდონ ლონიკაშვილი კი დაჭაკეს. ეს მოხდა 1960 წლის 1 მაისს.

დაიწყო გამოძიება.

ქეთინო მინაძე ამტკიცებდა: „მკვლელი ნამდვილად ქერათმიანი იყო, თმა ზეკვით ჰქონდა ავარცხნილი“. მარინე ამბობდა: „ერთ-ერთ მკვლელს რკინიგზელის ქუდი ეხურა, რომ გარბოდა, გადაუვარდა და ისეც დაიხურა“.

— გვიდონი ამბობს: მომაკვლავმა ჯუმბერმა ამოიკვნესა: გოგი, რათა მკლავ, ბიჭო, რა დაგიშავეო; ბავშვი ამბობს: მკვლელს რკინიგზელის ქუდი ეხურაო. ვინ არის ასეთი ხაშურში?! — ჩაფიქრდა მილიციის გამომძიებელი.

ასეთიც აღმოჩნდა: — გოგი ლაცაბიძე — რკინიგზელი, მაგრამ როცა დაკითხეს, გამოირკვა, რომ მატარებლის შემადგენლობა, რომელსაც ლაცაბიძე ემსახურება, 1 მაისს ხაშურში არ ყოფილა. მაშასადამე, მკვლელი გოგი ლაცაბიძე არ არის, მაშ ვინ უნდა იყოს?!

20 მაისს ხაშურის რკინიგზის მილიციაში შემოვიდა უსახელო წერილი. უცნობი იწერებოდა: „ჯუმბერ ლონიკაშვილის მკვლელი არის ლადო ბარბაქაძის ვაჟი, ხაშურში მცხოვრები მერაბ ბარბაქაძე“.

—თავისი ბნელი წარსულით ბარბაქაძე საკმაოდ „ცნობილი“ კაცია ხაშურში, როგორც იტყვიან, ყველაფერზე ხელს აწერს, იქნებ ამიტომ ასახელებენ მკვლელად! — ჩაფიქრდა გამომძიებელი. მაინც გამოიძახა, დაიკავა, რამდენჯერმე დაკითხა, გვიდონსაც დაუპირისპირა, მაგრამ ამაოდ... რამდენი დღეც გადიოდა, მკვლელობის კვალი თანდათან იშლებოდა. მილიციის გამომძიებელი იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებინა გვიდონ ლონიკაშვილიცა და მერაბ ბარბაქაძეც.

2.

მა დღეს ჩვეულებრივზე ადრე შეაღო სამეშაო კაბინეტის კარი რესპუბლიკის პროკურორმა, მიუჯდა მაგიდას და მამინვე ზარის ღილაკს დააჭირა თითი.

— ვინ ბრძანდებოდა ბატონო ბერაბ?

— ბატონო, ეს ბიჭი ბოლო ორი საათია ელოდება ბატონის ბრძანებას.

— ბატონ ბერაბ, ეს ბიჭი ბოლო ორი საათია ელოდებიან ბატონის ბრძანებას.

—